პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი
# БОЕВОЙ СТРАЖ

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
Газета выходит с 1926 года.

№ 8 (2103) კვირა, 23 თებერვალი, 1986 წელი. ● ფასი 2 კაპ.

## 23 თებერვალი — საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე

## 23 ФЕВРАЛЯ — ДЕНЬ СОВЕТСКОЙ АРМИИ И ВОЕННО-МОРСКОГО ФЛОТА

### საინფორმაციო ცნობა

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1986 წლის 18 თებერვალს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა განიხილა შემდეგი საკითხები:

1. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობისადმი;

2. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის პროექტის საერთო-პარტიული და საერთო-სახალხო განხილვის ძირითადი შედეგები და სკკპ XXVII ყრილობის განსახილველად მისი შეტანა;

3. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების ცვლილებათა განხილვის შედეგები და სკკპ XXVII ყრილობის განსახილველად პარტიის შეცვლილი წესდების პროექტის შეტანა;

4. მოხსენება სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდისათვის ძირითად მიმართულებათა შესახებ სკკპ XXVII ყრილობისადმი;

5. „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა" პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგები და სკკპ XXVII ყრილობის განსახილველად ამ პროექტის შეტანა.

ამ საკითხებზე მოისმინეს ამხანაგების მ. ს. გორბაჩოვისა და ნ. ი. რიჟკოვის მოხსენებანი. პლენუმმა მოიწონა წარმოდგენილი მოხსენებები, სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის, პარტიის შეცვლილი წესდებისა და ძირითად მიმართულებათა პროექტები და მიიღო გადაწყვეტილება ეს დოკუმენტები განსახილველად წარუდგინოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მომავალ XXVII ყრილობას.

პლენუმზე განიხილეს ორგანიზაციული საკითხები:

პლენუმმა ამხ. ბ. ნ. ელცინი აირჩია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად და გაათავისუფლა იგი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოვალეობისაგან პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტში სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

პლენუმმა ამხ. ვ. ვ. გრიშინი გაათავისუფლა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის მოვალეობისაგან პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

პლენუმმა ამხ. კ. ვ. რუსაკოვი გაათავისუფლა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოვალეობისაგან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

ამით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

## მოწინავეთა გალერეა



დომენტი ყაფლანის ძე ფანჩულიძე დაიბადა 1953 წელს თერჯოლის რაიონის სოფელ ძევრში. 1972 წელს დაამთავრა ქ. ქუთაისის პროფტექნიკური სასწავლებელი. სამხედრო-სავალდებულო სამსახურის მოხდის შემდეგ კომკავშირული საგზურით მიღებული იქნა სამუშაოდ ქ. თბილისის პირველი მაისის სახ. რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში ჯერ რიგით მილიციელად და შემდეგ არასრულწლოვანთა ინსპექციის უბნის ინსპექტორად, 1984 წელს დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი.

დ. ფანჩულიძემ შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობის მანძილზე თავი გამოიჩინა როგორც თავმდაბალმა, დისციპლინიანმა თანამშრომელმა. მის მიერ გამოსწორებულია მრავალი ძნელადაღსაზრდელი მოზარდი. ქურდების, ძებნილების და სხვა საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში წარმატებისათვის დ. ფანჩულიძეს შინაგან საქმეთა განყოფილების, ქ. თბილისის შს სამმართველოს და სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ მიღებული აქვს მრავალი მადლობა და ფასიანი საჩუქარი. როგორც მოწინავე თანამშრომელი, ის 1980 წელს მიიღეს სკკპ რიგებში. აქტიურ მონაწილეობას ღებულობს განყოფილების ყოველდღიურ ცხოვრებაში, არჩეულია განყოფილების პირველადი პარტორგანიზაციის მდივნის მოადგილედ და სახალხო კონტროლის თავმჯდომარედ.



ელმან გაჯის ძე გაჯიევი დაიბადა 1962 წელს ქ. გარდაბანში. 1980 წელს საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო სამშენებლო ტრესტში მუშად, საიდანაც გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში, სამხედრო-სავალდებულო სამსახურიდან დემობილიზაციის შემდეგ მუშაობა განაგრძო იმავე ტრესტში.

1984 წელს გარდაბნის პარტიის რაიონული კომიტეტის რეკომენდაციით ე. გაჯიევი გაგზავნილი იქნა გარდაბნის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში სამუშაოდ, ამავე განყოფილებაში 1985 წელს ე. გაჯიევი მიიღეს კომუნისტური პარტიის რიგებში. მილიციის უმცროსი სერჟანტი ე. გაჯიევი გარდაბნის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებაში მილიციონერად მუშაობს, არის გარდაბნის შს რაიგანყოფილების კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი. იგი პირნათლად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, კარგი ავტორიტეტით სარგებლობს თანამშრომლებში.

## ДОЛГ И ОТВЕТСТВЕННОСТЬ КОММУНИСТА

Велика сила личного примера члена партии, его нравственной позиции. Коммунисты, подчеркивалось на апрельском (1985 г.) Пленуме ЦК КПСС, оцениваются по их поступкам и делам. Других критериев нет и быть не может. И мы стремимся усилить „спрос" с каждого члена партии за честный и чистый облик партийца.

В арсенале парторганизации нашего отдела — самые разнообразные формы воспитания у каждого коммуниста активной жизненной позиции, высокой принципиальности и ответственности за порученное дело. Широкое распространение в последнее время получила практика заслушивания на открытых партийных собраниях отчетов коммунистов с утверждением их партийных характеристик.

Не секрет, что раньше характеристики составлялись формально. Случалось, совершит коммунист проступки, которые противоречат нормам партийной жизни, а в характеристике о нем прочтешь «дисциплинирован... скромен... предан...» и ни одного слова о недостатках. Несомненно, это были формализм и беспринципность.

Как использовать характеристику для повышения ответственности каждого коммуниста, избавиться от формального подхода к ее составлению. После изучения вопроса пришли к выводу, что отчет перед товарищами по партии — действенное средство повышения вклада каждого коммуниста в общее дело, подлинная школа воспитания. Приняв все это во внимание, партийная организация нашего отдела одна из первых подхватила интересную инициативу, поставленную республикой.

Партийные собрания, на которых заслушиваются отчеты и утверждаются характеристики на коммунистов, проходят сегодня в обстановке высокой заинтересованности, доброжелательности и в то же время принципиальности.

Характеристики всесторонне и вместе с тем лаконично отражают, как правило, не только трудовую и общественную деятельность коммуниста, но и в обязательном порядке моральные, нравственные аспекты поведения человека, его образ жизни, отношение к семье и воспитанию детей.

Принципиальный, откровенный разговор вели коммунисты на партсобрании, заслушивая отчет и обсуждая характеристику старшего оперуполномоченного уголовного розыска Э. Чежия. Отмечалось, что он хороший оперативный работник, избирался заместителем секретаря партбюро, награжден знаком «Отличник милиции». Однако тут же указывалось, что в последнее время он стал зазнаваться, болезненно вос-

(Окончание на 2-й стр.).

# ისმენენ კომუნისტის ანგარიშს, ამტკიცებენ პარტიულ დახასიათებას

**ახლახან** გაიმართა ხაშურის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების ღია პარტიული კრება. კრებაზე ანგარიშით გამოვიდნენ კომუნისტები აკაკი ნიკოლოზის ძე პაპუაშვილი და ოთარ გიორგის ძე მირზაშვილი. ისინი დამსწრეთ ესაუბრნენ წლის განმავლობაში შინაგან საქმეთა განყოფილებაში მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ. ისაუბრეს იმ უარყოფით მხარეებზე, რომლებიც მათ გააჩნიათ მუშაობაში.

კომუნისტების ანგარიშის გამო კრებაზე თავისი აზრი გამოთქვა შინაგან საქმეთა განყოფილების თითქმის ყველა კომუნისტმა. მათ ა. პაპუაშვილი დაახასიათეს როგორც ნიჭიერი, შრომისმოყვარე, კეთილსინდისიერი კომუნისტი. ის პირნათლად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, აქტიურ მონაწილეობას ღებულობს განყოფილების ყოველდღიურ საქმიანობაში, ბევრს მუშაობს თავისი პროფესიული და იდეურ-პოლიტიკურ დონის ამაღლებისათვის.

კრებაზე მიღებული დადგენილების კრიტიკულ ნაწილში კი ხაზგასმულია: ა. პაპუაშვილს მართებს მეტი ყურადღება მიაქციოს საკუთარ თავს, არის ფიცხი, რაც უარყოფითად მოქმედებს მის საქმიანობაზე.

კრებამ დაამტკიცა კომუნისტ ა. პაპუაშვილის დადებითი დახასიათება და აღნიშნა, რომ კომუნისტ ა. პაპუაშვილის სამსახურებრივი საქმიანობა და ცხოვრების წესი პასუხობს სკკპ წესდების მოთხოვნებს, ამასთანავე კრებას მიაჩნია, რომ კომუნისტმა ა. პაპუაშვილმა უნდა გამოასწოროს ის ნაკლოვანებები, რომლებზედაც სიტყვაში გამოსულმა ამხანაგებმა მიუთითეს. მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს პარტიულ დავალებათა შესრულებას, მთელი თავისი ცოდნით და გამოცდილებით უნდა შეასრულოს სამსახურებრივი მოვალეობა.

ღია პარტიულმა კრებამ ერთხმად დაამტკიცა ამხ. ა. პაპუაშვილის დადებითი დახასიათება.

ამავე დღეს ხაშურის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების თანამშრომლების წინაშე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშით წარსდგა კომუნისტი ო. მირზაშვილი, რომელიც 1983 წლიდან მუშაობს ხაშურის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროს ექსპერტ-კრიმინალისტად. მან ისაუბრა შინაგან საქმეთა განყოფილებაში მის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ.

ო. მირზაშვილის ანგარიშის შესახებ კრებაზე თავიანთი აზრი გამოთქვეს განყოფილების კომუნისტმა, მათ აღნიშნეს, რომ ისინი კარგად იცნობენ ო. მირზაშვილს. მართალია, ის ჯერ კიდევ ახალ მუშაკად ითვლება. მაგრამ უკვე კარგად გამოავლინა ყველა ის თვისება, რაც ახასიათებს: მეგობრებთან კარგ დამოკიდებულებაშია, იზარებს მათ ჭირვარამს, არის პატიოსანი და კეთილსინდისიერი. ყოველდღიურად ცდილობს აიმაღლოს ცოდნის დონე, აქტიურად მონაწილეობს განყოფილების პარტიულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

კრებაზე გამოთქმულ კრიტიკულ ნაწილში აღინიშნა, რომ ო. მირზაშვილს აქვს სერიოზული ნაკლოვანებანი, არ არის ინიციატივიანი, დღემდე ვერ მოაგვარა კრიმინალისტური ლაბორატორიის მუშაობა.

პარტიულ კრებას მიაჩნია, რომ კომუნისტ ო. მირზაშვილის სამსახურეობრივი საქმიანობა ძირითადად პასუხობს სკკპ წევრის მოთხოვნებს, მაგრამ მან მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. აამაღლოს დისციპლინა, გამოასწოროს ხასიათი და გულისხმიერად მოეკიდოს პარტიულ-სამსახურეობრივი დავალებების შესრულებას.

ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით კომუნისტ ო. მირზაშვილს მიეცა მითითება. პარტიულმა კრებამ გამოთქვა იმედი, რომ ის გაითვალისწინებს ყოველივე იმ უარყოფითს. რომელიც მას გააჩნია, იბრძოლებს უკეთ წარმართოს საზოგადოებრივი საქმიანობა, რაც გახდება მომავალი წარმატებების საწინდარი.

**დ. მჭედლიძე.**

# ДОЛГ И ОТВЕТСТВЕННОСТЬ КОММУНИСТА

(Окончание. Начало на 1-й стр.).

принимает критику товарищей, излишне самоуверен, допускает нарушения сроков исполнения жалоб и заявлений граждан, сообщений о преступлениях. Безусловно, никто не застрахован от ошибок в работе. Но сделать правильные выводы — долг каждого коммуниста, дело его совести и принципиальности.

Э. Чежия было рекомендовано более самокритично оценивать свою работу и помнить, что он должен служить примером для остальных, особенно молодежи.

Подготовке и обсуждению отчетов коммунистов с утверждением характеристик привлекается широкий круг коммунистов, беспартийные товарищи. По отчету принимается решение, выполнение которого ставится на контроль.

Примечательно то, что слушая отчеты и утверждая отрицательные характеристики отдельных молодых коммунистов, коммунисты, руководители служб и подразделений осознают и свою ответственность за то, что не сумели вовремя поправить молодого человека, помочь ему. Когда, скажем, следователю М. Басария был объявлен выговор, коммунисты самокритично признали свою вину в этом.

Предложения, критика, высказываемые в адрес руководителей служб и подразделений при заслушивании отчетов и утверждении характеристики, мобилизуют и подтягивают всех коммунистов, благотворно влияют на морально-психологический климат, служебную и общественную деятельность коллектива.

К примеру, при утверждении характеристики в сентябре прошлого года на члена КПСС начальника отделения уголовного розыска А. Гулотава в его адрес были высказаны серьезные замечания. Как руководитель, он не осуществляет должного контроля за работой подчиненных. Серьезная критика в адрес начальника отделения оказала большое воздействие не только на него самого, но и на всех коммунистов отделения.

Сотрудники отделений уголовного розыска острее прочувствовали причастность к просчетам собственного коллектива. В результате проведенных оперативно - профилактических мероприятий им удалось добиться определенных сдвигов в стабилизации оперативной обстановки, а по отдельным видам к снижению преступности. Повысился процент раскрываемости тяжких преступлений.

На партийном собрании была утверждена характеристика на старшего следователя, члена партии А. Конджария. Коммунисты предъявили ему серьезные претензии в связи с тем, что из-за его нетребовательности, неорганизованности, неумения правильно распределять работу, стремление подменить своих подчиненных в следственной группе, ослабла служебная и трудовая дисциплина, ухудшились показатели. Из состоявшегося разговора правильные выводы сделали и старший следователь и все следователи следственной группы.

На сегодняшний день заслушаны и утверждены партийные характеристики на 20 членов и кандидатов в члены КПСС. Большинство утвержденных характеристик положительные, в то же время в них указываются отдельные пожелания и замечания.

В отделе систематически анализируется ход заслушивания отчетов коммунистов, содержание утвержденных характеристик. На что, прежде всего, обращается внимание? Больше всего указывается на грубость, нетактичность, невнимательное отношение к людям со стороны руководителей служб и подразделений.

Анализ утвержденных характеристик дает интереснейший материал для обобщений, позволяет сделать более гибкой индивидуальную работу с коммунистами, предметнее помогать им в совершенствовании своей деятельности и личных качеств. Наряду с этим проявляется еще одна возможность выявить новых способных, дисциплинированных сотрудников и соответственно расширить резерв кадров, глубже изучить тех, кто в нем состоит. Так, по результатам обсуждения отчета, утверждения партийной характеристики на участкового инспектора по делам несовершеннолетних, члена партии Д. Званбая, впоследствии было принято решение о его выдвижении оперуполномоченным уголовного розыска.

Отчеты направлены на решение конкретных задач оперативно - служебной деятельности. Члены и кандидаты в члены КПСС отчитываются за выполнение уставных требований, обязанностей по службе, разного рода общественных поручений. Такой подход позволяет партбюро полнее и более эффективно воздействовать на решение оперативно - служебных и воспитательных задач.

**Д. ГАБЕЛИЯ,**
заместитель начальника Гальского РОВД по политчасти, майор милиции.

РАССКАЗЫВАЮТ РУКОВОДИТЕЛИ ПОДРАЗДЕЛЕНИЙ

# ИНТЕРВЬЮ ПО ТЕЛЕФОНУ

**ДАЕТ НАЧАЛЬНИК БОЛНИССКОГО РОВД ПОДПОЛКОВНИК МИЛИЦИИ СЕМЕН ГЕОРГИЕВИЧ ГАМКРЕЛИДЗЕ.**

— В прошлом году оперативная обстановка на территории района значительно улучшилась. По сравнению с 1984 годом сократилось количество преступлений по линии уголовного розыска. Улучшилась раскрываемость преступлений, в том числе, тяжких.

В районе отмечается снижение таких видов преступлений, как изнасилование, покушение на изнасилование, краж государственного имущества, краж личного имущества граждан, разбойных нападений, хулиганских проявлений.

Одной из объективных причин улучшения показателей оперативно - служебной деятельности РОВД по линии УР является то, что в отмеченный период улучшилась и активизировалась деятельность уголовного розыска.

В результате активизации деятельности всех служб РОВД, хорошей взаимосвязи с соседними горрайорганами, нами за отчетный период выявлены, разоблачены и привлечены к уголовной ответственности ряд преступных групп, которые совершили тяжкие преступления на территории нашего и близлежащих районов.

Наряду с достигнутыми положительными успехами необходимо отметить и то, что в деятельности РОВД по борьбе с уголовной преступностью пока еще имеются недостатки и упущения.

Во первых, это — слабое взаимодействие всех служб РОВД по профилактике преступлений и их раскрытию. Нами допущен рост угонов автотранспорта, не на должном уровне ведется работа по раскрытию преступлений прошлых лет.

Необходимо отметить, что указанные недостатки являются следствием недостаточной работы и участковых инспекторов милиции. Ими не в полной мере выявляются тунеядцы и другие паразитические элементы, ведется слабая работа по раскрытию преступлений.

Преступления, совершенные несовершеннолетними, остаются стабильными. Однако необходимо отметить, что ими продолжают совершаться такие виды преступлений, как кражи, нанесение телесных повреждений, хулиганство и другие.

Некоторые улучшения наблюдаются в деятельности БХСС. Увеличилось количество выявленных фактов хищений государственного имущества, спекуляции. Стабильным остается число выявленных фактов взяточничества.

Вместе с тем, необходимо отметить, что деятельность отделения БХСС пока еще не отвечает возросшим требованиям дня. Данные свидетельствуют о том, что несмотря на цифровые показатели и некоторую активизацию работы, существенных изменений в подходе к важным проблемам борьбы с корыстными преступлениями не произошли. Ими вскрываются в основном очевидные преступления. Неудовлетворительно ведется борьба с замаскированными хищениями.

Некоторые ухудшения показателей наблюдаются и работе по линии службы и разрешительной системы. Так, в прошлом году, уменьшилось количество мелкого хулиганства, мелкого хищения, фактов мелкой спекуляции. При этом возросли показатели доставленных в РОВД за пьянство бродяг и попрошаек.

В Болнисском РОВД за 1985 год сократилось число чрезвычайных происшествий и грубых нарушений социалистической законности со стороны сотрудников.

Ряд сотрудников добросовестно и честно выполняли возложенные на них обязанности, проявляли высокие морально - политические и нравственные качества, строго соблюдали советские законы. Но нарушения служебной дисциплины все еще имеются. Анализ показывает, что наибольшее количество нарушений продолжают допускать сотрудники уголовного розыска, следственной группы и участковые инспектора, качество работы которых определяет общественное мнение о работе РОВД в целом. Нарушения, допускаемые ими, это в основном неправильное разрешение материалов, волокита. необоснованные вынесения постановления об отказе в возбуждении уголовных дел.

Требует дальнейшего улучшения идейно - воспитательная работа с личным составом отделения ГАИ и МРЭО РОВД. Деятельность некоторых сотрудников ГАИ вызывает справедливые нарекания и жалобы со стороны населения района.

Для улучшения и дальнейшей стабилизаци деятельности РОВД в целом нами запланированы и будут осуществлены в текущем году ряд комплексных мероприятий.

Также требует улучшения работа по установлению тесного и делового контакта с активом общественности и народными дружинниками.

Нами обновлены составы товарищеских судов. Повышен спрос с каждого руководителя за состояние дисциплины среди подчиненных сотрудников во всех службах и подразделениях РОВД, составлены в соответствии с приказом МВД СССР планы индивидуально - воспитательной работы с личным составом. Ход выполнения этих планов будет постоянно контролироваться первичной партийной и комсомольской организациями. За нарушения, допущенные со стороны подчиненных, к ответственности будут привлекаться и непосредственные руководители служб.

Под руководством районного комитета партии мы будем и впредь проводить оперативно - профилактические мероприятия, направленные на дальнейшее усиление борьбы с преступностью и правонарушениями, установление в районе образцового общественного порядка.

**Интервью записала**
**А. АРАМАДЗЕ.**

# წესრიგის სადარაჯოზე

**თბილისის** მე-40 საქალაქო პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციაზე განსაკუთრებული ყურადღება იქნა მიპყრობილი დედაქალაქში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის პრობლემებზე.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ ქუჩებში ელემენტარული წესრიგი არ არის. სპეკულანტები, მაწანწალები და სხვა ჯურის ანტისაზოგადოებრივი ელემენტები აშკარად დაძრწიან ცენტრალურ მაგისტრალებზე და მოედნებზე. არაორგანიზებულობა, უდისციპლინობა და უკონტროლობა განსაკუთრებით მკაფიოდ და კონცენტრირებულად გამოიხატება საავტომობილო ტრანსპორტზე.

თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს საგზაო-საპატრულო სამსახურის პირადმა შემადგენლობამ კონფერენციაზე გამოთქმული შენიშვნები გააანალიზა და მიიღო გადაწყვეტილება მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და მათი საქმიანობის ძირეულად გარდაქმნის შესახებ. შეიმუშავეს და დაამტკიცეს ღონისძიებათა კონკრეტული გეგმა, შედგენილი იქნა ახალი დისლოკაცია, განსაკუთრებით გაძლიერდა თანამშრომლების პასუხისმგებლობის საკითხი. ხშირია ოპერატიულ თათბირებზე, სამუშაოზე უმიზეზოდ დაგვიანების, გაცდენის და სხვა დისციპლინარულ საკითხებზე მსჯელობა. გაძლიერდა საავტომობილო ტრანსპორტზე კონტროლი, სოციალისტური საკუთრების საიმედო დაცვის უზრუნველყოფისა და ქურდობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით. საგზაო-საპატრულო სამსახურის პირადმა შემადგენლობამ მუშაობის დროს გარკვეული გამოცდილება შეიძინა, მათ მიერ ათასობით მანეთის ღირებულების დატაცებული საქონელი იქნა აღმოჩენილი სპეკულანტების და ქორვაჭრების ხელში.

...მიმდინარე წლის 4 თებერვალს საქართველოს სამხედრო გზაზე მორიგეობის დროს საგზაო ზედამხედველობის უფროსი ინსპექტორი, მილიციის ლეიტენანტი ი. აფაქიძე ჩვეულებრივი მონდომებით და ყურადღებით ასრულებდა თავის სამსახურებრივ მოვალეობას, ამ დროს მან შენიშნა, რომ ჩვეულებრივზე უფრო ფრთხილად მოძრაობდა მძიმედ დატვირთული ავტომანქანა „ჟიგული", რომელშიც მძღოლი და ერთი მგზავრი ისხდნენ. მილიციის ლეიტენანტი ი. აფაქიძე ავტომანქანას უკან გაჰყვა და როდესაც დარწმუნდა, რომ ავტომანქანას რაღაც გადაჰქონდა, საგზაო ზედამხედველობის ინსპექტორს, მილიციის ზემდეგ ვ. ისაევს უბრძანა გაეჩერებინა აღნიშნული ავტომანქანა. როდესაც დაკავებული ავტომანქანის მძღოლმა მართვის უფლება და სხვა საბუთები წარუდგინა, ყველაფერი წესრიგში ჰქონდა, მაგრამ ნერვიულობდა. გამოცდილ მილიციის ინსპექტორს ი. აფაქიძეს არ გამოპარვია ყოველივე ეს და როცა ავტომანქანის საბარგული გასინჯა, მასში აღმოჩნდა სხვადასხვა დასახელების დიდი რაოდენობის სიგარეტის კოლოფები. სიგარეტებით სავსე ყუთები აღმოჩნდა აგრეთვე ავტომანქანის სალონში — სულ 1470 მანეთის ღირებულებისა. მძღოლი თამბაქოს ქარხნის მექანიკოსი თ. ბუხრაძე და მისი მეგობარი, ამჟამად უმუშევარი ე. ვალიევი მოპარული ნადავლით საბურთალოს რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში მიიყვანეს. მათ მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. თუ სად მიემართებოდნენ მოპარული ნადავლით, გამოძიება დაადგენს, მაგრამ ჩვენ გვინდა თქვენი ყურადღება გავამახვილოთ იმ გარემოებაზე, რომ თუ მილიციის ყველა მუშაკი თავის სამსახურებრივ მოვალეობას შეასრულებს კეთილსინდისიერად და მონდომებით, გამოიყენებს წლების მანძილზე მიღებულ გამოცდილებას, ვერცერთი ავაზაკი და ქურდი ვერ მიაღწევს სასურველ მიზანს.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა მხოლოდ იმ პირობით შეიძლება, თუ სისტემატურად იფართოებ იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონეს, ეუფლები პროფესიულ ოსტატობას, სრულყოფ შენში საუკეთესო ადამიანურ თვისებებს. სწორედ ამ სრულყოფას ესწრაფვის მილიციის ლეიტენანტი ი. აფაქიძეც, მას ხელმძღვანელობისაგან კეთილსინდისიერი სამსახურისათვის მიღებული აქვს მრავალი მადლობა.

ვუსურვოთ მას ახალ-ახალი წარმატებები თავის რთულსა და საპატიო საქმიანობაში.

**თ. ხაბულიანი.**



# ПОВИНЕН ЛИ АЛКОГОЛЬ?..,

Часто можно услышать такую фразу: «Трезвый — человек как человек, а как выпьет, становится невыносимым».

Да, есть очень много таких людей, которые под влиянием алкоголя разительно перевоплощаются, под влиянием даже не слишком обильной выпивки, обычно скрытые, тщательно маскируемые качества вырываются у них наружу, и они предстают перед окружающими без маски, в своем подлинном, ничем не приукрашенном виде. Алкоголь делает их придирчивыми, заносчивыми, толкает на приключения.

Уголовная статистика свидетельствует о том, что значительная часть преступлений совершается лицами, находящимися в состоянии опьянения.

Трудно сказать к,ак бы повели себя 22-летние комсомольцы Вахтанг Вашакидзе и Соломон Кереселидзе в трезвом виде, увидев незнакомую молодую девушку. Наверняка, не подошли бы к ней. А вот будучи пьяными не только подошли, но и с применением физической силы сняли с нее дубленку и кольцо. Их жертвой стала Цира Т., заведующая архивом республиканской конторы стройбанка ГССР.

Оперативной группе I отделения Орджоникидзевского РОВД г. Тбилиси, возглавляемой заместителем начальника отделения майором милиции Р. Нацаришвили, понадобилось 48 часов, чтобы установить и задержать грабителей.

Малхаз Ткешелашвили, 1957 года рождения, ранее был судим за угон автомашины. Отбыл срок наказания. Ничего особенного, казалось бы, нет. Мало ли что бывает в жизни. Может, человек оступился, а теперь встал на путь исправления. Ничего особенного не было бы, если не случай, происшедший 8 февраля с. г. на ул. Худадова. М. Ткешелашвили нанес телесные повреждения водителю такси Нодари А. и угнал автомашину «ГАЗ-24» госномер 61-50 ГАА. Причина: состояние опьянения. Повод: не так поехал, не там свернул.

Веское оправдание, не правда ли?Только вот сотрудники Октябрьского РОВД г. Тбилиси не приняли во внимание его оправданий.

—Были пьяны, вот и не помнят, как все произошло, — можно слышать часто.

Помните, один из героев Э. Ремарка говорил: «Знаешь, как узнают настоящего джентльмена? Он ведет себя прилично, когда налижется?»

Очень точно подмечено. Настоящий человек, даже расторможенный алкоголем, сохраняет достоинство. Сохраняет потому, что из него не вырываются низменные эмоции. В этом отношении опьянение — хороший тест. Не думайте, что в застольном буянстве повинен алкоголь, нет, в нем повинна сущность человека. Алкогольное охмеление как бы открывает вид на тайники души, на скрытые истоки самой сути человека.

Разве повинен алкоголь в истории, о которой расскажем ниже.

В поселке Цхнети на улице Руставели во время очередного обхода территории начальником II отделения Орджоникидзевского РОВД г. Тбилиси капитаном милиции М. Хуцианидзе и сотрудниками отделения Н. Галуашвили, Р. Херумяном, З. Абутидзе и К. Мухадзе были задержаны с поличным на факте кражи из квартиры П. В. Шахназарян, Э. Галкин и В. Мишаков. Жители разных городов Советского Союза, их объединяло одно общее: желание наживиться, не тратя на то особых физических и умственных усилий.

Выпив в Тбилиси, они решили подняться в пос. Цхнети, надеясь найти там лакомый кусочек. Но здесь явно не повезло им. Легкий путь наживы снова привел их на скамью подсудимых: В. Шахназаряна, 1942 года рождения, в восьмой раз, Э. Галкина, 1937 года рождения, в шестой раз, а В. Мишакова, 1948 года рождения, в седьмой раз. Причем, В. Мишаков на свободе пробыл всего лишь... 5 дней. Освободившись 1 февраля из мест лишения свободы, он 6 февраля снова пошел на «дело».

Разве можно было отказать друзьям в солидарности?...

Нет, виновато не только вино в данном случае. Алкоголь только проявил весь букет их истинных эмоций.

Можно привести еще не мало фактов, когда преступления совершались в пьяном угаре. Но стоит ли? Достаточно и тех, чтобы понять, как страшен ущерб, приносимый алкоголем, как страшен себе и окружающим.

...Ограбил, ранил, угнал, украл...

**А. СААКАДЗЕ.**

# გაბედულებითა და საზრიანობით

„მე, გიორგი ავთანდილის ძე ლობჟანიძე დავიბადე 1961 წლის 20 აპრილს ქ. თბილისში მუშის ოჯახში", — ვკითხულობთ ამ ახალგაზრდა კაცის ავტობიოგრაფიას და გული სიამაყით გვევსება.



გიორგის არასდროს უცდია იოლი გზით სიარული. სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო თბილისის ერთ-ერთ საწარმოში მტვირთავად. შემდეგ — სამხედრო-სავალდებულო სამსახურში იმყოფებოდა ქალაქ გორკში. დემობილიზაციის შემდეგ კი კვლავ მტვირთავად მუშაობდა მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოში".

ახალგაზრდა მუშა შეიყვარა კოლექტივმა, პრინციპული ხასიათისათვის, პატიოსნებისათვის, საქმისათვის ერთგულებისა და თავდადებისათვის.

1982 წელს კომბინატის ხელმძღვანელობამ გ. ლობჟანიძე კომკავშირული საგზურით სამუშაოდ გააგზავნა შინაგან საქმეთა ორგანოებში. მან აქაც გამოიჩინა თავი როგორც გაბედულმა და მტკიცე ხასიათის მუშაკმა: დაკავებული ჰყავს სისხლის სამართლის ორი დამნაშავე, ერთი რეციდივისტი, რისთვისაც ხელმძღვანელობის მადლობა დაიმსახურა.

1985 წელს იგი თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოსთან არსებულ საგზაო-საპატრულო საგუშაგოს ინსპექტორად გადაიყვანეს.

იმ დღესაც, 28 იანვრის სუსხიან საღამოს ი. ჭავჭავაძის გამზირზე, „გამარჯვების" პარკთან, საგუშაგოზე მყოფი გიორგი ფხიზლობდა, გულმოდგინედ ათვალიერებდა გამვლელ ავტომანქანებს. ამ დროს მასთან მიირბინა სასოწარკვეთილებაში მყოფმა უცნობმა ქალიშვილმა და დახმარება სთხოვა. მოპირდაპირე მხრიდან მათკენ ბარბაცით წამოვიდა ახალგაზრდა აღელვებული კაცი. გიორგი მიუახლოვდა უცნობს და წყნარი, მშვიდი ტონით მისი დამშვიდება სცადა. უცნობმა იუკადრისა დარიგება — „არამკითხე მოამბეო!" — შესძახა და ჯიბიდან „ნაგანის" სისტემის რევოლვერი იძრო. გიორგისაკენ მიმართული რევოლვერის ჩახმახს უცნობმა თითი გამოჰკრა, მაგრამ, ბედად, გასროლის ხმა არ გაისმა. გიორგი არ დაიბნა, არ შედრკა, სანამ ახალგაზრდა კვლავ გამოჰკრავდა ჩახმახს თითს, იქვე მყოფი უცნობი მოქალაქის დახმარებით მან შეიარაღებული დამნაშავე განაიარაღა, მაგრამ მისი დაკავება ვეღარ შეძლო, დამნაშავე მიიმალა.

შემთხვევის ადგილზე გამოცხადდა ოპერატიული ჯგუფი, ორჯონიკიძის შს რაიგანყოფილების სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსი ოპერრწმუნებულის, მილიციის უფროსი ლეიტენანტის რ. ქველიძის მეთაურობით, რომელმაც დაადგინა დამნაშავის ვინაობა. იგი აღმოჩნდა გურამიშვილის ქუჩა № 8-ში მცხოვრები, 1954 წელს დაბადებული, ადრე ხულიგნობისათვის ნასამართლევი ვ. რურუა.

იმავე საღამოს დამნაშავე დააკავეს.

**ნ. კაპილაძე.**

სურათზე: გ. ლობჟანიძე.

# ფოტორეპორტაჟი

გარდაბნის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების თანამშრომლები კარგი შედეგებით ხვდებიან სკკპ XXVII ყრილობას. ბოლო დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა თანამშრომლების იდეურ-პოლიტიკური და პროფესიული დონის ამაღლებას. ყველა სამსახურის თანამშრომლებმა გამოიჩინეს თავი სამართალდამრღვევებთან წინააღმდეგ ბრძოლაში. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ რაიგანყოფილების სამორიგეო ნაწილისა და დამრიგებლების კარგი მუშაობა, რაც დადებითად დაეტყო თანამშრომელთა შორის დისციპლინის ამაღლებასა და პროფესიულ მომზადებას.





სურათზე: გარდაბნის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების ოპერატიული მორიგე, მილიციის უფროსი ლეიტენანტი ნ. ჭავჭავაძე მოქალაქის წერილობითი განცხადების მიღების დროს; საგამომძიებლო ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი ბ. ყანჩაველი ახალგაზრდა თანამშრომელს, მილიციის ლეიტენანტს ზ. მოურავიშვილს აცნობს ხელმძღვანელო ბრძანებას.

ა. გოგოლაძის ფოტოები.

პავლე მიხაილუკი საერთაშორისო ვაგონის კუპეში შევიდა და ჩემოდანი ფრთხილად დადო რაფასთან. მერე ლაბადა გაიხადა და ჩამოჯდა.

ჯერ მარტო იყო. ის მეორე მგზავრი არ ჩანდა, მიხაილუკმა გაიფიქრა, ნეტავ ვინ არისო. საერთოდ არ უყვარდა ხოლმე, როცა ვინმე ენაგატლეკილი დაემგზავრებოდა. დაიწყებდა და აღარ გაათავებდა. ყველაფერს გამოჰკითხავდა, თანაც თავის მხრივაც მთელ ავტობიოგრაფიას ჩაუკაკლავდა. იმას კი არ დაგიდევდათ, მის თანამგზავრს აინტერესებდა თუ არა, საიდან მოდიოდა, სად მიდიოდა და რა უნდა გაეკეთებინა.

მიხაილუკი დერეფანში გამოვიდა და ფანჯარასთან დადგა. უკვე ბინდი იდგა. ბაქანზე თითო-ოროლა კაცი დადიოდა. ძალიან ხალვათობა იყო და პავლეს გაუკვირდა. იმ დალოცვილმა მოლარემ ათი მანეთი ზედმეტი წაიღო და ერთი ბილეთი ძლივს მისცა. აქ კიდევ, ნახევარი ადგილები ცარიელია. ამ დროს დერეფანში ვიღაც ხნიერი კაცი

# მზე ისევ გამოანათებს

**ზაალ მესხიშვილი**

გამოჩნდა. მომცრო ჩემოდანს ძლივს მოათრევდა. დაღლილი ნაბიჯებით მოდიოდა.

ის კაცი სწორედ მის კუპესთან შეჩერდა.

— მგონი აქ უნდა ვიყო, მეთერთმეტე ადგილი მაქვს.

— დიახ, მაშინ სწორედ აქ ყოფილხართ, — უთხრა მიხაილუკმა და კუპეში გაატარა.

— თქვენც აქ ხართ, ბატონო?

— დიახ, სწორედ აქ გახლავართ.

— პავლემ უსიამოვნოთ გაიფიქრა, რომ ეს მოხუცი დიდი აბეზარი ვიმე იქნებოდა და სანამ თბილისში ჩააღწევდა, სისხლს გაუშრობდა. უეცრად ვიღაცამ ბეჭზე ხელი შინაურულად დაჰკრა. მერე უსიამოვნო წრიპინა ხმაც შემოესმა.

— პავლუშა, შენა, ძმობილო, ერთი ამას დამიხედეთ, როგორ მოკაზმულა.

მიხაილუკი სწრაფად შემობრუნდა და გაოცებულმა შეჰყვირა.

— აჰ, ზებრა, შენა!

იმ კაცმა კიდევ ჭუჭყიანი საჩვენებელი თითი ტუჩებზე დაადო.

— სუუ, ძმობილო. ზებრა კი არა შოთა არშაკის ძე მარკარაშვილი ვარ.

— რაო? — სახეში შეაშტერდა მიხაილუკი.

— დაიმახსოვრე, შოთა არშაკის ძე მარკარაშვილი. — ის კაცი მიხაილუკისაკენ გადაიხარა — საქართველოში ასე ვარ. რუსეთში — ანატოლი არშაკოვიჩ მარკაროვ, სომხეთში აშოტ არშაკის ძე მარკარიან! გამიგე, ძმობილო.?

— გავიგე, დიდი შებერტყილი ვინმე ხარ. ასე უცბათ საიდან. შენ ხომ ცამეტი გქონდა.

— ჰო, ცამეტი, მაგრამ ციმბირის ჰაერი ვერ ავიტანე, გამოვიქეცი. წამო ერთი, რესტორანში დავჯდეთ. არ შეგეშინდეს, ფული ბლომად მაქვს. მე გიპატიჟებ.

მიხაილუკი კუპეში შევიდა, მოხუცი რაფასთან მოკალათებულიყო და თვლემდა.

— ძია კაცო!

მოხუცი მაშინვე გამოერკვა.

— ბიძაშვილი შემხვდა, რესტორანში გავალთ, ყელს ჩავისველებთ, ჩემოდანს თქვენ დაგიტოვებთ.

— იყოს, ბატონო, არავის არ გავატან. იყოს. რა უჭირს მერე.

— მეც მალე მოვალ.

მოხუცმა თავი დაუქნია და მიხაილუკი კუპიდან გავიდა.

ვაგონ-რესტორანში შევიდნენ თუ არა, მარკარაშვილმა თავისუფალი მაგიდა იპოვა და წინ წავიდა. დაჯდა და მიხაილუკს თვალით ანიშნა, მის წინ დამჯდარიყო. იმავ წუთს მაგიდას ვიღაც ქალი და კაცი მიუახლოვდნენ.

— შეიძლება დავსხდეთ თქვენს მაგიდასთან?

მარკარაშვილს სახე მოექცა:

— არა, აქ კიდევ ორი კაცი უნდა მოვიდეს.

უცნობმა ბოდიში მოიხადა და წავიდა.

მარკარაშვილმა მიხაილუკს თვალი ჩაუკრა.

— შენთან ბევრი სალაპარაკო მაქვს. შენ რომ წახვედი...

— მე ამნისტია შემეხო და გამათავისუფლეს.

— ჰო, ვიცი. შენს მერე კიდევ წელიწადნახევარი ვიჯექი. ისე ცუდად არ ვიყავი, მაგრამ ციმბირი მაინც ციმბირია. — მარკარაშვილმა ხელები მაგიდაზე გაშალა, მიხაილუკისაკენ გადაიხარა და ხმას დაუწია, — ერთ დღეს წიწაკა გამომეცხადა, რომ გახსოვს წიწაკა?

— მახსოვს, — უთხრა მიხაილუკმა, — სამა პერცოვი, მართლაც წიწაკას ჰგავდა.

— ჰო, გახსომებია, მოვიდა წიწაკა და მეუბნება, თავისუფლება არ გინდაო? ჰო — მეთქი. აბა წამომყეო. იმ ღამით გავიპარეთ. ოცდათხუთმეტი გრადუსი ყინვა იყო. ძალიან ბევრი ვიარეთ. მერე წიწაკა დავარდა და მითხრა, მეტი აღარ შემიძლიაო. მართლაც წასული იყო ხელიდან. შემეცოდა და გავგუდე. იქვე დავტოვე და მოვუსვი. სამი დღის შემდეგ თბილ ლოგინში გამომეღვიძა. თურმე ნუ იტყვი, ვიღაც ბებერ დედაკაცს ვუპოვნივარ გონებადაკარგული. სახლამდე მათრია თურმე და მერე კიდეც მომასულიერა.

— არ გაგყიდა?

— არა, კარგი ქალი იყო და არ იკისრა. კარგად მომიარა. მაგრამ უკვე ვგრძნობდი, თუ კიდევ ცოტას მოვიცდიდი, უეჭველად გავიყიდებოდი. ერთ მშვენიერ დღეს გუდა-ნაბადი ავიკარი. ბებერს რაც ფული და კიდევ რაღაც-რაღაცეები გააჩნდა, შევახვიე. კინაღამ თვითონაც შემომაკვდა. ღამით გავიპარე და როცა კარს ვაღებდი, მომეჩვენა, თითქოს გაეღვიძა კიდეც. მაგრამ საბედნიეროდ, მხოლოდ მომეჩვენა, თორემ მისთვის წესის აგება მომიწევდა. პატივი მცა და ეს ნამეტანი იქნებოდა, ერთი სიტყვით, სიკვდილს გადარჩა.

გამოვედი ხატადან და მოვუსვი. მთელი თვე ვიარე, სანამ ლენინგრადამდე მივაღწევდი. მივედი ლენინგრადში და ძველი დოსტები მოვიკითხე. სამი კაცი ძლივს შევკრიბე. ზოგი მილიციას უფასო საგზურებით აგარაკზე გაეგზავნა, ზოგიც კიდევ პირადი მოსაზრებით სხვაგან გადაბარგულიყო. ბებრისაგან წამოღებული ფული უცბათ გაქრა. საჭირო იყო საქმე წამომეწყო, მაგრამ ის სამი ტიპი ისეთი გაურანდავები იყვნენ, მათი შემხედვარე ქათმის მოსაპარავადაც ვერ წახვიდოდი, მე კი მაგარი საქმე უნდა გამეკეთებინა. მაინც ავიკიდე, მეტი რა ჩარა იყო. ერთი ორგანიზაციის სალარო გავტეხეთ და ავითესეთ. მე აქეთ მოვაშურე, ისინი კიდევ — ჯანდაბაში და დოზანაში. წინასწარ ვიცი, სამივეს გაბაწრავენ. ამაში ეჭვიც არ მეპარება. ამიტომ ვუთხარი, რომ კუზბასში ვითომდა ქალი შევირთე და ახლა სწორედ იქ ვაპირებდი წასვლას. მამა უცხონდათ, მე ქალის მთხოვნელი არ ვიყო.

დასაწყისი იხ. „მგბს" №№ 1-7. (გაგრძელება შემდეგ ნომერში).

# ЛИЧНОСТЬ КВАРТИРНОГО ВОРА

(Окончание. Начало см. в «МГБС» № 5 — 7.)

**Показателем такой устойчивости выступает количество ранее совершенных лицом преступлений, за которое оно было осуждено. Уровень рецидива среди квартирных воров традиционно высок. Он несколько выше, чем аналогичный показатель среди тех, кто был осужден за грабеж или разбойное нападение с целью завладения как социалистическим, так и личным имуществом. Удельный вес квартирных воров, судимых три и более раз, почти вдвое больше, чем доля лиц с такой же судимостью среди грабителей и разбойников.**

**Особенно характерен для квартирных воров специальный рецидив. Совершение одних и тех же преступлений, своего рода специализация, вырабатывает у некоторой части воров преступное «мастерство», соответствующую ловкость, умение скрывать следы и иные преступные навыки, что существенно затрудняет своевременное раскрытие совершаемых ими квартирных краж.**

**Заслуживают внимания данные, полученные в результате изучения рецидива среди квартирных воров, отбывших наказание и освобожденных из мест лишения свободы. Представляется, что показателем устойчивости антиобщественного поведения указанных лиц является срок, по истечении которого они вновь совершают преступления. Несомненно, совершение нового преступления спустя непродолжительное время после отбытия наказания свидетельствует о стойкой антиобщественной установке лица. Характерно, что среди квартирных воров удельный вес таких лиц весьма высок. Более половины из них в течение года после возвращения из мест лишения свободы совершили кражу личного имущества из квартир. Отсюда с неизбежностью вытекает вывод, что активную профилактическую работу с освобожденными необходимо проводить именно в первое время пребывания указанных лиц на свободе, поскольку в этот период на них еще действуют такие факторы, как неполная фактическая рассоциализация, неуверенность в возможности жить за счет честного труда, прежние (антиобщественные) взгляды и привычки, влияние преступной среды. Кроме того, после отбытия срока наказания, освобожденные сталкиваются с определенными трудностями при решении многих жизненно важных задач (выбор места жительства, трудовое и бытовое устройство, восстановление прежних и установление новых связей, адаптация к условиям жизни на свободе и т. д.).**

**Целью настоящей статьи явилась попытка осветить основные, криминологически значимые признаки личности квартирного вора, которые обязательно должны приниматься во внимание при организации и проведении работы по предупреждению рассматриваемых преступлений. Только располагая конкретной криминологической характеристикой квартирных краж и личности квартирных воров, разумеется, применительно к местным условиям, можно целенаправленно осуществлять профилактическую работу и получить от нее ожидаемые положительные результаты.**

**В. КУЗНЕЦОВ,**
**кандидат юридических наук.**

# მსმენელთა დასახმარებლად

**წინა** დღით, როდესაც ხულოს შს რაიგანყოფილების რიგითი შემადგენლობის მსმენელთა ჯგუფში უნდა ჩატარებულიყო მეცადინეობა თემაზე: „ადამიანის ქცევასა და შემეცნებაში კომუნისტური მორალის ნორმებიდან გადახრის წინააღმდეგ ბრძოლა, სამართალდარღვევის პროფილაქტიკისა და მართლწესრიგის დაცვის საქმეში შინაგან საქმეთა ორგანოების საზოგადოებასთან კავშირის განმტკიცება", მოეწყო თანამშრომელთა ექსკურსია ხულოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

მსმენელები დიდი ინტერესით გაეცნენ რაიონის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ძველი ქართული კულტურის ამსახველ ექსპონატებს. მსმენელებს უფრო ნათელი წარმოდგენა შეექმნათ იმ მიზეზებზე, რაც ზოგჯერ ვლინდება ზოგიერთის ქცევასა და შემეცნებაში, კერძოდ, ისლამის გადმონაშთებში და სხვა ჩვენი ყოფისათვის შეუფერებელ, დღევანდელი მოთხოვნებიდან ანომალიურ გადახრებში.

აქვე გამახვილებული იქნა ყურადღება იმ ფაქტზე, რომ ბურჟუაზიული პროპაგანდა ყოველთვის ცდილობს მონახოს თავისი იდეების გასაღებისათვის დასაყრდენი და როგორც სასაზღვრო რაიონის წარმომადგენლებს, ჩვენ ყველაზე მეტი სიფხიზლე გვმართებს და ყველაზე მეტად ვართ მოწოდებული ვებრძოლოთ კომუნისტური მორალის ნორმებიდან ყოველგვარ გადახრას.

შემდგომ დაათვალიერეს ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულის რაიონული შტაბი, სადაც თვალნათლად გამოჩნდა სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში საზოგადოებისა და შინაგან საქმეთა ორგანოების კავშირი.

ექსკურსიის შემდეგ მეცადინეობა საინტერესოდ წარიმართა თვით მსმენელთა აქტიური მონაწილეობით.

**მ. ქამადაძე,**
**ხულოს რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის მოადგილე, პროპაგანდისტი.**

ИЗ ЗАЛА СУДА

# МАХИНАТОРЫ РАЗОБЛАЧЕНЫ

В ноябре 1984 года в городе Ашхабаде встретились бывшие наши соотечественники, а ныне жители туркменской столицы, слесарь лимонадного цеха Геогчинского райпотребсоюза Анзор Глонти и преуспевающий закройщик одного из ашхабадских ателье Эфраим Цицуашвили.

— Я достал большую партию лимонной кислоты, — сказал Глонти, — а ты, дружок, найди в Грузии покупателя. Деньги пополам.

Цицуашвили не заставил себя долго упрашивать. Через четыре дня он был уже в Карели, где познакомился и вступил в преступный сговор с инженером - электриком Агарского консервного завода, жителем села Даба Агара Карельского района Зурабом Ломая. Ломая согласился заплатить за каждый килограмм лимонной кислоты 16 рублей. (Следует сообщить вам, что Глонти килограмм обошелся на 4 рубля дешевле).

21 декабря из Ашхабада Глонти и Цицуашвили в целях перепродажи лимонной кислоты контейнером, на имя Ломая в Дабу Агару отправили 2.100 кг. лимонной кислоты. В соответствующих железнодорожных документах они указали, что в контейнере, якобы, находится мебель, а для полной безопасности отправители придумали вымышленное лицо. В начале января Ломая получил «подарок» и спрятал его в подвале своего дома. Но «подарок» обошелся ему дорого. Ломая потерял сон. В результате бессонных ночей у него созрел план. Он договорился со своим сослуживцем, механиком агарского консервного завода, жителем печально известного села Руиси Карельского района, Омаром Гогинашвили и попросил его найти покупателя, имеющегося у него лимонной кислоты. Покупатели объявились. Ими оказались заведующий складом вспомогательных материалов Горийского консервного завода Ираклий Меладзе, начальник компотного цеха Гегечкорского консервного завода Роланд Горозия, житель Гегечкорского района Мируша Качарава и другие не установленные следствием лица. Все они заплатили за килограмм от 18 до 20 рублей. Выручку Ломая и Гогинашвили поделили между собой. И кто знает, как бы закончилось это дело, если вездесущий Цицуашвили в погоне за прибылью, не привез бы еще 34 мешка лимонной кислоты Зурабу Ломая.

В результате проведения оперативных мероприятий 30 апреля 1985 года опергруппа в составе старшего инспектора БХСС ЛОВД на ст. Хашури майора милиции Н. Ломидзе, начальника линейного пункта ст. Карели капитана милиции С. Пхитидзе и инспектора — дежурного старшего лейтенанта милиции М. Шубитидзе, возглавляемая начальником ЛОВД на ст. Хашури майором милиции А. Шекриладзе пресекла преступную деятельность махинаторов.

Нарсуд Карельского района приговорил А. Глонти и Э. Цицуашвили к 8 годам лишения свободы, З. Ломая к 7 годам лишения свободы, О. Гогинашвили к 6 годам лишения свободы, а М. Кацарава к 4 годам лишения свободы.

**Г. МОЛАШВИЛИ.**

სარედაქციო კოლეგია
РЕДКОЛЛЕГИЯ

ჩვენი მისამართია: თბილისი 380025, გოგოლის ქ. № 23, ტელ. 95-66-72, 991-41-24.Наш адрес: 380025, ул. Гоголя, 23 тел. 95-66-72, 99-1-41-24 უე 07262
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი — 96. ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო ქორპუსში, ხოშარაულის 29.